უფასო

ჩემი გაზეთი

9 სექტემბერი
2020 წელი

№3 (49)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

ბაღდათელები ერთმანეთისთვის

კარგა ხანია ერთმანეთს არ შევხვედრივართ ძვირფასო მკითხველო, მარტიდან მოყოლებული იძულებითი უქმობა გამოგვივიდა და თუ რამ გვაიძულა სტამბის გზა დაგვევიწყებინა და ყოველ თვე გაზეთის ახალი ნომერი მოგვეწოდებინა თქვენთვის, ყველას კარგად მოგეხსენებათ.

„დარჩი სახლში“ – საქართველოს მთავრობის ეს მოწოდება ხშირად გვესმოდა ტელევიზიებიდან თუ სოციალური ქსელებიდან, სახლში დარჩენის აუცილებლობა კი ჩვენივე ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის იყო გამოწვეული – კორონავირუსი, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედო, თითოეული ჩვენთაგანის სიცოცხლეს დაემუქრა.

საქართველოს მთავრობის, ჩვენი ექიმების და მოსახლეობის ძალისხმევით, ჩვენი ქვეყანა ღირსეულად შეებრძოლა პანდემიას. მთავრობის მიერ დაწესებულ რეგულაციებს და რეკომენდაციებს ნაბიჯ-ნაბიჯ და შესაშური ძალისხმევით ასრულებდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა – მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების მიერ შექმნილი საგანგებო შტაბი.

განსაკუთრებულად საფრთხე ვირუსმა ხანდაზმულებს შეუქმნა, მარტოხელა, სოციალურად დაუცველ მოხუცებს. „დარჩით სახლში – ჩვენ მოვალთ თქვენთან“: მიაწვდინა ხმა 70-წელს გადაცილებულ მოხუცებს ახალგაზრდების ჯგუფმა. ყველაფერი კი ამ ექვსი სახელით დაიწყო – გურიკა კიკნაველიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, ალექსანდრე წიქორიძე, ზვიად პატარიძე, ალექსანდრე ლაღიძე, ლევან ჩიბურდანიძე – რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ საკუთარი მეგობრების დახმარებით შეეძლოთ გარკვეული თანხის შეგროვება და 70 წელს გადაცილებულ, მარტოხელა, გაჭირვებული ადამიანების დახმარება. საამისოდ კი წამოიწყეს სოციალური კამპანია „ბაღდათლები ერთმანეთისთვის“. ექვსეულს მალევე შეურთდნენ გიორგი ჯავახია, გიორგი გურგენიძე, მიხეილ მსხვილიძე, ვაკო კვინიხიძე, სოსო კოტორეიშვილი. ჯგუფმა დაიწყო სოციალური კამპანიის რეკლამირება ამ საშური საქმის მხარდასაჭერად, ცნობილ ბაღდათელთა ვიდეო-მიმართვებს, პოპულარული და ყველასათვის საყვარელი მსახიობების, მწერლების, სპორტსმენების, მუსიკოსების მოწოდებები მოჰყვა და ... შედეგიც მალევე დადგა.

შემოწირული, საკმაოდ სოლიდური თანხის წყალობით და ახალგაზრდების მონდომებით, ბაღდათში მაცხოვრებელ 550-მდე მოხუცსა და სოციალურ დაუცველ ოჯახს ეტაპობრივად დაურიგდეთ საკვები პროდუქტები და მედიკამენტები.

ახალგაზრდების ამ ინიციატივას ცხადია, მხარი დაუჭირა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ. მერიამ თავის მხრივ 300 ბენეფიციარისთვის, პირველადი საჭიროების საკვები პროდუქტი შეიძინა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ერთობლივი ინიციატივით ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 13-შვმ პირს ეტლები გადაეცა.

აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ სამსახურთან რამდენიმე წელია აქტიურად თანამშრომლობს და მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებს, მათივე საჭიროებებიდან გამომდინარე, პერმანენტულად ეხმარება.

თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო (TIKA)-ს თბილისის საკოორდინაციო ოფისის წარმომადგენლებმა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 40 შეჭირვებულ ოჯახს, საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ჰიგიენური საშუალებები გადასცეს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლებმა ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის თანამშრომლებთან ერთად, ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 100 შეჭირვებულ ოჯახს საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ჰიგიენური საშუალებები გადასცეს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ დახმარება 1500-ზე მეტ ოჯახს გაეწია, რომელთა ნაწილი საქველმოქმედო ფონდ „ბაღდათელები ერთმანეთისთვის“ განხორციელდა.

კორონავირუსის პანდემიის გამო, სკოლამდელ დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესი შეჩერებული იყო (დღემდე). ბაღდათის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში 772 აღსაზრდელი ირიცხება. საკვები პროდუქტების შეძენა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, კვების რაციონის გათვალისწინებით უზრუნველყო. ერთი სასურსათო პაკეტის ღირებულება 40 ლარს შეადგენდა. სურსათის გაცემა საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით მიმდინარეობდა.

სოსო კოტორეიშვილი

ინფრასტრუქტურული პროექტები

ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მიუხედავად კორონავირუსის პანდემიისა, ინფრასტრუქტურული სამუშაოები არ შეჩერებულა. დეტალური ინფორმაციის მისაღებად „ჩემი გაზეთი“ მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსს, კახა მსხვილიძეს ესაუბრა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბოლო რამდენიმე წელია ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, რამაც ამ მიმართულებით დაფინანსების ზრდა განაპირობა. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) მიღებული დაფინანსება 1 300 000 ლარით გაიზარდა. მუნიციპალიტეტს სახელმწიფო დაფინანსების გარდა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც აქვს გამოყოფილი თანხა. საერთო ჯამში, მიმდინარე წელს დაფინანსების სხვადასხვა წყაროდან 6 000 000 ლარზე მეტი ღირებულების 75-მდე პროექტი განხორციელდება.

მიმდინარე წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 5 328 705 ლარი გამოიყო და 14 პროექტი დაფინანსდა:

- სოფ. დიმის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობა;
- სოფ. წითელხევში მეფარიშვილების უბნიდან თეთრი ეკლესიისკენ მიმავალ საავტომობილო გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა;
- სოფლების – დიმისა (№2 საჯარო სკოლა) და პირველი ობჩის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე რკ/ბეტონის საფარის დაგება;
- სოფ. როხში ე. წ. შემოვლითი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობა;
- სოფლების – ფერსათისა და შუბანის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა;
- სოფ. წითელხევის შემოვლით გზაზე რკ/ბეტონის საფარის დაგება;
- ქ. ბაღდათში შანიძისა და ენდელაძის ქუჩების სავალ ნაწილზე, ასევე შ. რუსთაველის ქუჩის შესახვევებსა და ი. ჭავჭავაძის ქუჩის სავალ ნაწილზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა.

ქალაქ ბაღდათში რეაბილიტაცია ჩაუტარდება შემდეგ ქუჩებს: ჯავახიშვილის, წმ. მარიამის, ენდელაძის, შანიძის, ჭავჭავაძის, რუსთაველის, დადიანისა და აღმაშენებლის ქუჩებს. ზემოთ აღნიშნული პროექტებიდან ორი (ქ. ბაღდათში აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია, სოფ. წითელხევის შემოვლით გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა) გარდამავალია და მომავალ წელსაც გაგრძელდება.

მიმდინარე წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან დასრულებულია ჯავახიშვილისა და ენდელაძის ქუჩებზე გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია.

სკოლებში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის წელს 343 289 ლარი გამოიყო. აღნიშნული თანხით ბაღდათის მუნიციპალიტეტის 5 სკოლაში (სსიპ სოფ. დიმის №1 საჯარო სკოლა, სსიპ სოფ. ვარციხის საჯარო სკოლა, სსიპ სოფ. როხის საჯარო სკოლა, სსიპ სოფ. ხანის საჯარო სკოლა, სსიპ გიორგი გენაძის სახელობის პირველი ობჩის საჯარო სკოლა) მიმდინარეობს სველი წერტილების მოწესრიგება, რაც გულისხმობს შენობაში არსებული ფართის რეაბილიტაციას, ხოლო, ფართის არარსებობის შემთხვევაში, მიშენებას. ახალი სტანდარტების შესაბამისად, სანიტარული კვანძები უნდა მოთავსდეს შენობის შიგნით. იგივე სამუშაოები სკოლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით განხორციელდება ობჩის, საკრაულისა და ზეგნის (№1 და №2) საჯარო სკოლებში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფომ ბაღდათის მუნიციპალიტეტს, გამოუყო 346 000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაემატა 70 250 ლარი. აღნიშნული თანხით მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში განხორციელდება 36 პროექტი. აქედან 34 პროექტზე თვითმმართველობის მიერ შეძენილია სამშენებლო მასალები, ხოლო სამუშაოები განხორციელდება მოსახლეობის ჩართულობით. პროექტები განისაზღვრა ადგილობრივების საჭიროებებიდან გამომდინარე, მათივე გადაწყვეტილებით, ესენია: შიდა საუბნო გზების მოხრეშვა, შიდა საუბნო გზებზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა, მგზავრთა მოსაცდელის მშენებლობა/რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება, სანიაღვრე გზებზე ცხაურების მოწყობა და სხვა.

მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტით ხორციელდება კიდევ ორი პროექტი: სოფელ საკრაულაში, ადმინისტრაციულ შენობაში ამბულატორიის რეაბილიტაცია და ქალაქ ბაღდათში, კოსტავას ქუჩა №2-ში მდებარე კორპუსის გარე ფასადის მოწყობა. პროექტების ჯამური ბიუჯეტი 165 964 ლარია.

ანა ქორიძე

საზოგადოებრივი ცენტრი 27 000-მდე მცხოვრებს მოემსახურება

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, ქალაქ ბაღდათში რიგით 82-ე საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ხარაგაულის და ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ გოგსაძე, იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორი სოსო გიორგაძე და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე ზურაბ სანიკიძე.

საზოგადოებრივი ცენტრები მომხმარებელს მრავალფეროვან სერვისს, გამარტივებულ პროცედურებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას და თანამედროვე ინფრასტრუქტურას სთავაზობენ.

ბაღდათის საზოგადოებრივი ცენტრი იმერეთის რეგიონში რიგით მეცხრამეტეა. ცენტრები ფუნქციონირებს საწირეში, ზედა საზანოში, გეგუთში, შორაპანში, ზეინდარში, მეორე სვირში, ღორეშაში, კიცხში, ხევში, კორბოულში, ხრეითში, დიდ ჯიხაიშში, უსახელოში, ტყიბულში, საჩხერეში, ხარაგაულში, ჭიათურასა და ვანში.

საზოგადოებრივი ცენტრი ბაღდათისა და მიმდებარე სოფლების — დიმის, ვარციხის, ზეგნის, პირველი და მეორე ობჩის, ნერგეეთის, როკითის, როხის, საკრაულის, ფერსათის, წითელხევის, ხანის და სხვათა — 27 000-მდე მცხოვრებს მოემსახურება. ცენტრის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა, რომლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, კახიანის ქუჩაზე აშენდა.

საზოგადოებრივ ცენტრში ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს, კომფორტულ გარემოში სწრაფად, ადგილიდან გაუსვლელად ისარგებლოს სახელმწიფო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი მომსახურებით. მომხმარებელს ე.წ. ერთი ფანჯრის პრინციპით შეუძლია, აიღოს პასპორტი/პირადობის მოწმობა, განახორციელოს უძრავი ქონების რეგისტრაცია, მიიღოს საკადასტრო გეგმა თუ საარქივო მომსახურება და სხვ.

ბაღდათის საზოგადოებრივ ცენტრში გახსნის დღიდანვე ხელმისაწვდომია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს სერვისები. ეს მომსახურებები ხელმისაწვდომი იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში სამთავრობო პროგრამის – „სახელმწიფო – შენი პარტნიორი“ – ფარგლებში გახდა. პროგრამის მიზანი მეწარმეობისა და ფერმერული მეურნეობების განვითარების სტიმულირებაა. პროგრამის პრეზენტაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 21 აგვისტოს ამბროლაურში გამართა.

ახალგახსნილ საზოგადოებრივ ცენტრში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკაა, სადაც ელექტრონულ წიგნებთან ერთად ბეჭდური გამოცემებიც არის დაცული. ბეჭდური და ციფრული ბიბლიოთეკა, უფასო ინტერნეტი მოზარდებსა და ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შეიძინონ ცოდნა.

ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობის სტიმულირებისთვის ცენტრში თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი შეხვედრების დარბაზია მოწყობილი, სადაც სხვადასხვა შინაარსის საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრის, პრეზენტაციისა და დისტანციური სწავლების ჩატარებაა შესაძლებელი.

ცენტრში, ასევე, ხელმისაწვდომი იქნება „მაგთისა“ და „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებაც, რაც პენსიონერებს — ადგილიდან გაუსვლელად პენსიის მიღების, ახალგაზრდებს კი 24-საათიანი უკაბელო ინტერნეტით უფასოდ სარგებლობის საშუალებას მისცემს.

შენობის გახსნის საზეიმო ღონისძიების ფარგლებში, საზოგადოებრივი ცენტრის საქმიანობის შესახებ სახალისო ვიქტორინა ჩატარდა. ადგილობრივების სადღესასწაულო განწყობაზე, ღონისძიების წამყვანთან ერთად, გასართობი შოუპროგრამის თანხლებით ანიმატორებმა და ილუზიონისტებმა იზრუნეს; გახსნის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ კი, კონცერტი გაიმართა.

იურიდიული დახმარების საკონსულტაციო ცენტრი

ბაღდათის მუნიციპალიტეტში იურიდიული დახმარების სამსახურის მე-15 საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა უფასო სამართლებრივი დახმარების მიღება, რადგან აქამდე მათ ქუთაისის ბიუროსთვის მიმართვა უწევდათ.

საკონსულტაციო ცენტრის ადვოკატი ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ნებისმიერ პირს გაუწევს უფასო იურიდიულ კონსულტაციას ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, ხოლო სოციალურად დაუცველებისთვის კი, კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენა, საადვოკატო მომსახურება და წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოში. საკონსულტაციო ცენტრი ბაღდათში, ბიბლიოთეკის შენობაში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან კახა ენუქიძესთან ერთად გახსნა. რაჟდენ კუპრაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა და იურისტ-კონსულტანტი მაია ხვადაგიანი წარუდგინა, გაანცო მისი მუშაობის გრაფიკიც.

რაჟდენ კუპრაშვილი (იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი): „იურიდიული დახმარების სამსახური თანდათანობით ზრდის უფასო სამართლებრივი დახმარების სერვისების

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისა და ტურიზმის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა მოეწყობა საქართველოს მთავრობამ, ევროკავშირის დაფინანსებით, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და ბიზნესის განვითარებისთვის 11 მუნიციპალიტეტს 5 მილიონი ლარის გრანტები გადასცა. ამ მუნიციპალიტეტებიდან ერთ-ერთი ბაღდათია.

ვარციხე: ბიზნესის განვითარებისა და ტურიზმის ხელშეწყობის ინფრასტრუქტურა

პროექტი გულისხმობს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხეში, ქუთაისი – ბაღდათი – აბასთუმანი – ბენარას შიდა სახელმწიფოებრივი მაგისტრალის მიმდებარედ ბიზნესგანვითარებისა და ტურიზმის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობას. მის ფარგლებში რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ჩაუტარდება ორსართულიან ნახევრად კარკასულ აგურის შენობას და კეთილმოეწყობა ეზო.

პროექტის განხორციელებით იმერეთში შეიქმნება ინტეგრირებული სივრცე რეგი-ონში ბიზნესის განვითარებისა და ტურიზმის სფეროს ხელშეწყობისთვის, რასაც განაპირობებს შერჩეული ქონების მდებარეობის სტრატეგიულობა და ხელმისაწვდომობა. პროექტით ისარგებლებენ როგორც ბაღდათის მუნიციპალიტეტის, ასევე ვანის, თერჯოლის, ზესტაფონისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებიდან დაინტერესებული მწარმოებლები, ასევე ვიზიტორები და ტურისტები.

პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრას, როგორებიცაა: საწარმოო ფართებზე ნაკლებად ხელმისაწვდომობა, ტურიზმის საინფორმაციო მომსახურების სერვისის არარსებობა, კერძო სექტორისთვის შეხვედრების სივრცის ნაკლებად ხელმისაწვდომობა.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდის ისეთი იმედისმომცემი სექტორებიდან, როგორებიცაა: მეღვინეობა, მეფუტკრეობა და ყველის წარმოება, მოთხოვნა საწარმოო-საოფისე და ადგილობრივი პროდუქციის (ღვინის, თაფლის, ყველის) საგამოფენო-სარეალიზაციო სივრცეებზე, კერძო სექტორისთვის შეხვედრების ადგილზე, საკმაოდ დიდია. ბიზნესგარემოს აუარესებს კერძო სექტორში საწარმოო ფართების სიმცირე და იჯარის მაღალი ფასი. საკონფერენციო სივრცის, შეხვედრების ადგილის არარსებობა აფერხებს სექტორთა შორის თანამშრომლობასა და ბიზნესუნარების გაუმჯობესებას. ადგილობრივი ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ტურიზმის მომსახურების სერვისის არარსებობა, რაც იწვევს მუნიციპალიტეტში ტურისტული ნაკადების მოუწესრიგებელ გადაადგილებას, აფერხებს მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტებით დაინტერესებას, მათ შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, კერძო სექტორში ბიზნესსუბიექტების გაჩენას, ტურისტული სერვისების განვითარების შესაძლებლობას, ტურისტულ სექტორში სამუშაო ადგილების გაჩენას.

ზემოაღნიშნული გარემოებები უარ-ყოფით გავლენას ახდენს როგორც მუნიციპალიტეტის, ისე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. პროექტის განხორციელებით რეაბილიტირებულ შენობაში განთავსდება საოფისე და საწარმოო ფართები, ტურიზმის მომსახურების საინფორმაციო ცენტრი, სადეგუსტაციო და საგამოფენო სივრცეები ადგილობრივად წარმოებული პროდუქციისთვის, ადგილობრივი რეწვის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისთვის მასტერ-კლასების სივრცე, შეხვედრების სივრცეები. ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობისას მუნიციპალიტეტში შემუშავდება ახალი და არსებული ბიზნესის სტიმულირების პროგრამა.

15 ერთეულზე მეტი საწარმოო ფართი, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, გადაეცემა 2 წლის ვადით და შემდეგი 3 წლის ვადით შეღავათიანი პირობით სტარტაპერებსა და იმ საწარმოებს, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელს შეუწყობენ ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციას, გასაღების ბაზრების მოძიებას, ადგილობრივი ხელნაკეთი ნივთების რეალიზაციას, ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ბიზნესსერვისების შეთავაზებას, ელექტრონულ კომერციას. პრიორიტეტული და მხარდაჭერილი იქნება ელექტრონული გაყიდვები ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციის ხელშემწყობისთვის, ლოჯისტიკური სივრცეების მოწყობა და სხვა საქმიანობები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროექტის მიზნების განხორციელებას.

შექმნილი ტურისტული მომსახურების ცენტრი გაზრდის რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ცნობადობას. ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ტურისტული ნაკადების მოწესრიგებულ გადაადგილებას. ამასთან, რეგიონში შემოსული ტურისტების დიდი წილი მუნიციპალიტეტის ტურისტულ ლოკაციებზე მოდის. მუნიციპალიტეტში 100-150 ათასამდე ტურისტი და ვიზიტორი შემოდის წლის განმავლობაში (განსაკუთრებით აღსანიშნავია კურორტ საირმეში შემოსულ ტურისტთა რაოდენობა – 100-120 ათასი პირი წლის განმავლობაში). მათი ინფორმირებულობით მუნიციპალიტეტში მოწესრიგდება ტურისტული ნაკადების გადაადგილება და გაიზრდება ტურისტების დღიური დანახარჯების მოცულობა.

შეხვედრების სივრცე ხელს შეუწყობს სექტორთაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესებას, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ასევე ბიზნესსაქმიანობაში ჩართვით დაინტერესებულ პირთა უნარების გაუმჯობესებას, არსებული ბიზნესების წარმოების შესაძლებლობების განვითარებას.

პროექტის განხორციელებით გაუმჯობესდება ტერიტორიის იერსახე, შეიქმნება ყველა სეგმენტის მომხმარებლისთვის ადაპტირებული გარემო, მოეწყობა რეკრეაციულ-გასართობი, დასასვენებელი სივ-რცე.

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება მუნიციპალიტეტისა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე: გაიზრდება მუნიციპალიტეტისა და რეგიონის საინვესტიციო და ტურისტული მიმზიდველობა, ასევე პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია; შეიქმნება ახალი ბიზნესობიექტები; ბიზნესსექტორში გაიზრდება შემოსავლები, გაუმჯობესდება დასაქმების შესაძლებლობები და გაიზრდება სამუშაო ადგილები; გაუმჯობესდება სექტორთა შორის თანამშრომლობა...

პროექტი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემადგენელი ნაწილია და შეესაბამება რეგიონის განვითარების სტრატეგიას. პროექტის ღირებულებაა 993 993,77 ლარი, აქედან გრანტით მიღებული დაფინანსება შეადგენს 970 000 ლარს. პროექტის დასრულება 2020 წლის ბოლოს იგეგმება.

ინფორმაცია მოგვაწოდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილებამ.

მარიამ ოქროჭელიძე

ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დასახლებებში, სადაც პოტენციური ბენეფიციარების რიცხვი მრავლადაა და კვალიფიციური დახმარებისთვის ადვოკატთან მისვლას შორი მანძილის გადალახვა სჭირდება. წელს უკვე რიგით მეექვსე საკონსულტაციო ცენტრი ბაღდათში გავხსენით. ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება პროფესიონალის დახმარებით მოაგვაროს მისთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივად პრობლემატური საკითხები.“

იურიდიული დახმარების სამსახური უფასო სამართლებრივი დახმარების გამწევი სახელმწიფო ორგანიზაციაა. იურიდიული კონსულტაცია ხელმისაწვდომია ყველა პირისთვის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო გადახდისუუნარო პირებისათვის ხორციელდება სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა და საადვოკატო მომსახურების გაწევა სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში.

აზა მაშანეიშვილი

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ – 127

კორონა ვირუსის გადამკიდე ნაშიმშილებმა კულტურულმა ცხოვრებამ პირველი გერმიელი ლუკმა 19 ივლისს დააგემოვნა. დიდი გამოცნობა არ სჭირდება იმ ამბავს, რომ 19 ივლისს ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრმა ვლადიმერ მაიაკოვსკის 127 წლის იუბილე აღნიშნა ჩვენი დიდი პოეტის სახლ-მუზეუმის ეზოში, ღია სივრცეში და ამით, პანდემიის პირობებში კულტურულ ღონისძიებათა გამართვის წესიც დაიცვა.

ცენტრის შემოქმედებითმა ჯგუფებმა ღონისძიებაზე მრავლად მოსულ სტუმარს ერთობ ორიგინალური და ცოცხალი პროგრამა დაახვედრეს – „ირიდას“ ბავშვები ვიოლინოებით, ბადრი სახამბერიძის გუგუნი, საბუკა ფულარიანი – პატარა ვალოდია, ბუთქუნა გოგო რითმებით, ლელა ჭრელაშვილი და ქეთი კიკნაველიძე – აივანზე გაცოცხლებული მაიკოვსკების ქალბატონები, თეონა ლომსიანიძის ჰანგები დამატკბობელი, გზად ამბები კოტე კიკნაძისა და ბექა კუჭუხიძის მოთხრობილი და მერე... წყაროსთან ტრიო „იმერეთი“ და ქალ-ტრიო „აისი“, ეკა გოგელიძის გაცოცხლებული ტატიანა იაკოვლევნა, ბექა მსხვილიძის წაკითხული მაიაკოვსკი ტატიანათი და ლილიათი... მარიამ თავთავაძისა და სოსო კოტორეიშვილის ტანგო.

ბოლოს კი ყველამ ერთად გაიხსენა და მოუსმინა ბრიგოს (გიორგი შოთაძე), კულტურის ცენტრისა და ბაღდათის ახლახან ნაადრევად გარდაცვლილ კოლორიტს. ასე უნდა ყოფილიყო და ეს ყველაფერი იყო ბაღდათში.

ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲬᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

რამდენიმე დღის წინ დათო ტურაშვილს ვუსმენტი ტელევიზიით, მაიაკოვსკიზე საუბრობდა: „...საქართველოდან რომ წავიდა, ისეთი სიყვარული წაიღო, მთელი ცხოვრება ეყო საგზლადო...“ ასე იყო, უყვარდა ქალები, მეგობრები, სამშობლო - საქართველო, სიცოცხლე...

ნაწყვეტი მინდა მოვიყვანო ჩემი წიგნიდან – „ტრაგედია ვლადიმერ მაიაკოვსკი“.

„...მაიაკოვსკი წერდა დღიურებს პოემაზე (ამის შესახებ) მუშაობის დროს. საინტერესოა მისი წერილებიც, რომელსაც ლილის წერს იმ პერიოდში, არა იმიტომ, რომ გავიგოთ „შეყვარებულების“ ურთიერთობათა რაღაც დეტალები, არამედ, აქ ჩანს საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ხელოვანის დამოკიდებულება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან. სვეტლანა კოვალენკო თავის წიგნში – „ვარსკვლავური ხარკი. ქალები მაიაკოვსკის ცხოვრებაში“ – წერს: „წერილი-დღიურები... არის არა უბრალოდ მაიაკოვსკის წერილები კონკრეტული ადრესატისადმი, არამედ ტრაქტატი სიყვარულზე, რომელიც შეიძლება განვიხილოთ ერთ რიგში შოპენჰაუერის „სიყვარულის მეტაფიზიკასთან“, სტენდალის ტრაქტატთან „სიყვარულზე“, ხოსე ორტეგა გასეტის „სიყვარულის ეტიუდებთან“ და სხვა ფილოსოფიურ ესეებთან, სადაც საუბარია სიყვარულის ფენომენზე, დროის, პიროვნების ფსიქოლოგიის, სექსუალურობისა და შემოქმედებითი პოტენციალის კონტექსტში.

მაიაკოვსკი არის, რომანტიკული ხასიათის პოეტი და მოაზროვნე, რომელიც ცხოვრობდა უდიდესი სოციალური უტოპიების ეპოქაში; სიყვარულში ხედავდა ძალას, რომელიც თავისი სიძლიერით სიტყვას უტოლდებოდა. მას სჯეროდა ამ საწყისების გარდაქმნის ენერგიის და როგორც ჩანს ეჭვებოდა, რომ ამ წერილების და დღიურების ადრესატს შეეძლო ის ბოლომდე გაეგო.“ ალბათ მოგვიწევს დავეთანხმოთ მწერალ ქალბატონს და კიდევ ერთხელ გავიაზროთ პოეტის სულიერი დრამის მასშტაბები, ახლა უკვე დღიურიდან მოყვანილი სიტყვებით:

„მე მინდოდა ძალიან ბევრი დამეწერა. შეგნებულად დავიტოვე ერთი დღე, რომ ეს ყველაფერი ზუსტად მომეფიქრებინა, მაგრამ დღეს დილით მაქვს აუტანელი შეგრძნება იმისა, რომ ეს ყველაფერი შენთვის საჭირო არაა.

საეჭვოა რომ შენ ოდესმე წაიკითხავ აქ რაც წერია... ისევ ჩემს სიყვარულზე – არის თუ არა ის ჩემთვის ყველაფერი? არის, ოღონდ სხვაგვარად. სიყვარული ეს სიცოცხლეა, ეს უმთავრესია. ლექსები, საქმეები და ყველაფერი სიყვარულით კეთდება. სიყვარული ეს არის ყველაფრის გული, თუ ის შეწყდა, კვდება ყველა დანარჩენი, ხდება ზედმეტი, არასაჭირო, მაგრამ თუ გული მუშაობს, არ შეიძლება ეს არ გამოჩნდეს ამ ყველაფერში. უშენოდ (არა ფიზიკურად, არამედ შინაგანად უშენოდ) ვნადგურდები. ასე იყო ყოველთვის, ასეა ახლაც. თუ არ არის საქმიანობა, მე ვკვდები. ნიშნავს თუ არა ეს იმას , რომ ყველაფერს ვიღონებ, ოღონდ „ჩამოგეკიდო“? რა თქმა უნდა არა...“

სიყვარული ყველაფრის გულია მაიაკოვსკისთვის, თუ ის კვდება, კვდება ყველაფერი. ამ სტრიქონების კითხვისას, ხოსე ორტეგას „სიყვარულის ეტიუდები“ გამახსენდა – „ჭეშმარიტ სიყვარულს, ადამიანის იდუმალ სიღრმეებში შობილს, როგორც ჩანს არ ძალუძს სიკვდილი. იგი სამუდამოდ რჩება მგრძნობიარე სულში. ვითარებამ – მაგალითად დაშორებამ – შეიძლება მოაკლოს მასაზრდოებელი გარემო და მაშინ ეს სიყვარული იწყებს ჭკნობას და გადაიქცევა მთრთოლვარე ძაფად, ქვეცნობიერში საგრძნობლად მფეთქავი გულითადი სიყვარულის წყაროდ, და მაინც არ მოკვდება. მისი ემოციური შემადგენლობა არ შეიცვლება. ამ უცვლელი საფუძვლის წყალობით, ადამიანი, რომელსაც უყვარდა, მომავალშიც თავს იგრძნობს შეყვარებულისადმი ურღვევ კავშირში. ბედმა შეიძლება დააცილოს სატრფოს, შეცვალოს მისი მდგომარეობა ფიზიკურ ან სოციალურ სივრცეში, და მაინც – სიყვარული რჩება მასში. ასეთია უმაღლესი, უტყუარი ნიშანი ჭეშმარიტი სიყვარულის: როგორმე იყო შეყვარებულის გვერდით, იყო უფრო მჭიდრო კავშირში, უფრო იდუმალ სიახლოვეში, ვიდრე სივრცითში. ეს ნიშნავს ჭეშმარიტ სიცოცხლისეულ კონტაქტში ყოფნას“ (ხოსე ორტეგა-ი-გასეტი „ეტიუდები სიყვარულზე“ მთარგნელი ნიკოლოზ კუჭუხიძე).

მაიაკოვსკის რამდენიმე ქალი უყვარდა, ზოგიერთი მათგანი მართლაც რომ დიდი სიყვარულით: მარია დენისოვა, ლილი ბრიკი, ტატიანა იაკოვლევა... იყო კი ეს ჭეშმარიტი სიყვარული? „...აი, როგორ იგონებს ტატიანა მაიაკოვსკისთან შეხვედრას:

„...სუსტი ფილტვები დროდადრო თავს მახსენებდა. 1928 წლის ბოლოს საშინელი ბრონქიტი შემეყარა და ძლიერი ხველა დამეწყო. ბოლოს და ბოლოს დავურეკე ჩემს ექიმს, სერჟ სიმონს. მან მითხრა, რომ სასწრაფოდ მივსულიყავი. როცა შევედი სასტუმრო ოთახში, დავინახე მასპინძელი, ელზა ტრიოლე და მაღალი, დიდი მამაკაცი, გამორჩეული იშვიათი ელეგანტურობით... კოსტიუმში, კარგ ბათინკებში, ცოტათი მოწყენილი სახით იჯდა სავარძელში... ყურადღებით შემათვალიერა. მისი მოკლე თმა, მკვეთრი, ლამაზი სახის ნაკვთები, მე მაშინვე ვიცანი – ეს იყო მაიაკოვსკი. ჩვენ წარგვადგინეს ერთმანეთთან და მე ხველისაგან შეწუხებული, შეძლებისდაგვარად ჩავერთე საუბარში. მაიაკოვსკის ლექსები კარგად ვიცოდი და მიყვარდა. არაერთხელ წამიკითხავს ისინი წითელარმიელებისათვის ლუკმაპური რომ მეშოვნა იმ შიმშილობის წლებში. ის, რომ ბოლშევიკური რუსეთის პირველი პოეტი იყო დიდად არ მაწუხებდა. იმ დროს მე შორს ვიყავი პოლიტიკიდან და ახალგაზრდული წლების გამო, კარგად არ მესმოდა ვის მხარეს იყო სიმართლე. ასეთ სახელგანთქმულ ადამიანთან შეხვედრა მოკრძალებისა და უხერხულობის გარეშე მივიღე. მისი სახელი მაშინ ხშირად ჩნდებოდა პარიზული პრესის ფურცლებზე. ბიძია საშას ნაცნობობის წყალობით მივეჩვიე იმას, რომ ჩემ გარშემო მუდმივად იყვნენ გამორჩეული და ცნობილი ადამიანები. წინადღით ბრამსს ვუკრავდი ოთხი ხელით პროკოფიევთან ერთად, რამდენიმე დღით ადრე კი კოქტოსთან ერთად ვისადილე. ახლა მე შევხვდი მაიაკოვსკის. თუ რაიმემ გამაოცა, ეს იყო მისი მანერები, დახვეწილი და უბრალო. ის უფრო ინგლისელ არისტოკრატს მოგაგონებდათ გარეგნობით, ჩაცმით და არაფერი ჰქონდა საერთო ჩემს მანამდე არსებულ შეხედულებასთან, რომელიც ჩამომიყალიბდა მისი ფუტურისტული ყვითელი ხალათის, სკანდალური გამოსვლების, სამართებელივით მჭრელი მახვილსიტყვაობის და პროლეტარული პოეტი ტრიბუნის ხმაურიანი დიდების გამო... ჩემი ხველებით შეშინებულმა მაიაკოვსკიმ შემომთავაზა სახლში გაცილება. ტაქსიში ციოდა, მაიაკოვსკიმ გაიძრო პალტო და ფეხებზე გადამაფარა. ამ წუთიდან მე ვიგრძენი ისეთი სინაზე და მზრუნველობა, რომლის უპასუხოდ დატოვება შეუძლებელი იყო. „ნამდვილი სინაზე არაფერში აგერევა, ის ჩუმია“ – წერდა ანა ახმატოვა. ასე რომ, მაიაკოვსკი იყო თავად სინაზე... არა მომაბეზრებელი, ზედმეტი სენტიმენტების გარეშე. შეგეძლო დაყრდნობოდი, მასში იგრძნობოდა ძალა. ჩვენ გამოვემშიდობეთ ერთმანეთს ჩემს სახლთან. ის იმედოვნებდა, რომ ძალიან მალე კვლავ შევხვდებოდით.

მე მოხიბლული ვიყავი, დაინტრიგებული და ცოტათი შეფიქრიანებული...“ ქალები, რომელიც მაიაკოვსკის უყვარდა, თავისი დროის ულამაზესი ქალბატონები იყვნენ, რომელთაც მიღებული ჰქონდათ ბრწყინვალე განათლება, ჰყავდათ უამრავი თაყვანისმცემელი, რაც ბევრ მკვლევარს აფიქრებინებს რომ ამ გახმაურებული რომანების თავიდათავი ამ ქალების მომხიბვლელობა იყო მხოლოდ. ისევ დათო ტურაშვილის საუბარი გამახსენდება აქედან წაღებულ დიდ სიყვარულზე და ელზა ტრიოლეს მოგონებები ტატიანასა და მაიაკოვსკის რომანზე: „ადამიანის ცხოვრებაში არის პერიოდი, როცა ის „მიდრეკილია“ სიყვარულისკენ. სიყვარულის მოთხოვნილება იზრდება როგორც შიმშილის გრძნობა, გული ხდება ნოყიერი ნიადაგი „მშვენიერი სნეულებისათვის“, ფეთქებადია და ინთება ნებისმიერი ნაპერწკლისაგან, ის მას უცდის რომ აინთოს. სიყვარული, ასეთ პერიოდში, ცოცხლობს ადამიანში და ელოდება თავის გამოვლინებას. მაიაკოვსკის სჭირდებოდა სიყვარული იმ დროს... ტატიანა იყო შეუდარებელი, ის იყო ოც წელზე ცოტა მეტი ხნის, მაღალი, გრძელფეხება, თამაშობდა ჩოგბურთს, ჰყავდა თაყვანისმცემლები...“ როგორც ჩანს ელიჩკა კოგანიც ასე ფიქრობდა... მაიაკოვსკის გულში სიყვარულის უზარმაზარი მარაგი იყო და ის რომ ასე ძლიერ უყვარდა ასეთი დიდი გრძნობით უყვარდა ეს მისი ნიჭია სიყვარულის, რუსთაველის საქართველოდან წაღებული... ისევ ორტეგას მივუბრუნდები: „ჭეშმარიტ სიყვარულს, ადამიანის იდუმალ სიღრმეებში შობილს, როგორც ჩანს არ ძალუძს სიკვდილი“. ჩვენი შემთხვევაში ამ ფრაზას ასე შევცვლიდი – მაიაკოვსკის საქართველოდან წაღებულ სიყვარულს არ ძალუძს სიკვდილი... და ის დღესაც ცოცხალია, ცოცხლობს მის პოემებში, ლექსებში... დღესაც მისი ლირიკული სტრიქონები ითარგმნება მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მის მშობლიურ ბაღდათში...

ᲙᲝᲢᲔ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ

აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაღუპული სამხედროს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხის მკვიდრის, შაქრო ხვიჩიას ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს. მებრძოლის ცხედარი მშობლიურ სოფელში დაკრძალეს. საფლავზე სასულიერო პირებმა მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს. სამხედრო პირს პატივი მუნიპილალიტეტის პირველმა პირებმაც მიაგეს.

აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსვენებული და იდენტიფიცირებულია 1992-93 წლების აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაღუპული რამდენიმე პირის ნეშტი. გარდაცვლილთა ცხედრები შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით მოიძიეს, ორმხრივი, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში.

აფხაზეთიდან გადმოსვენებულთა ნეშტები, მათი ოჯახების გადაწყვეტილებით, მშობლიურ მხარეში დაკრძალეს.

საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 42 44 27/08/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების გამოფენისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილის, ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. საარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკურმა სუბიექტებმა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და მეკრებების ჩასატარებლად თანაბარი პირობებით შეუძლიათ ისარგებლონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი შენობა-ნაგებობებით:

ა) არასამწარმო(არაკომერციული) იურდიული პირი-„ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს სარგებლობაში არსებული:

ა.ა) რ. ლაღიძის სახელობის კულტურის სახლის შენობით (ქ. ბაღდათი კახიანის ქ. N 1);

ა.ბ) ახალგაზრდული ცენტრის შენობით (ქ. ბაღდათი რუსთაველის ქ. N 31)

ა.გ) სამუსიკო-სახელოვნებო ცენტრის შენობებით (ქ. ბაღდათი რუსთაველის ქ. N 36; და სოფ. წითელხევი, სახელოვნებო სკოლის შენობა);

ა.დ) ბიბლიოთეკის შენობა;.

ბ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - „ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი“-ს დარბაზი (მისამართი: ქ. ბაღდათი ნინოშვილის ქ. N 6);

გ) სოფ. დიმის ყოფილი კულტურის სახლის შენობა (მისამართი: სოფ. დიმის ადმინისტრაციული ერთეული);

დ) სოფ. წითელხევის ყოფილი კულტურის სახლის შენობა (მისამართი: სოფ. წითელხევის ადმინისტრაციული ერთეული);

ე) სოფ. ვარციხის ყოფილი კულტურის სახლის შენობა (მისამართი: სოფ. ვარციხის ადმინისტრაციული ერთეული);

ვ) სოფ. პირველი ობჩის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (მისამართი: სოფ. პირველი ობჩის ადმინისტრაციული ერთეული);

ზ) სოფ. საკრაულას ადმინისტრაციული ერთეულის შენობის პირველი სართული (მისამართი: სოფ. საკრაულაის ადმინისტრაციული ერთეული)

თ) სოფ. ზეგნის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (მისამართი: სოფ. ზეგნის ადმინისტრაციული ერთეული)

ი) სოფ . როკითის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული (მისამართი: სოფ. როკითის ადმინისტრაციული ერთეული);

კ) სოფ. როხის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული (მისამართი: სოფ. როხის ადმინისტრაციული ერთეული);

ლ) სოფ. მეორე ობჩის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (მისამართი: სოფ. მეორე ობჩის ადმინისტრაციული ერთეული)

მ) სოფ. ფერსათის ადმინისტრაციული ერთეულის ყოფილი კულტურის სახლის შენობა (მისამართი: სოფ. ფერსათის ადმინისტრაციული ერთეული).

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ საზღვრებში (ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე) წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებული საარჩევნო მასალების გასაკრავ-გამოსაფენ ადგილებად გამოიყოს;

ა) მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სტენდები სააგიტაციო მასალებისათვის (თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთ ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს: სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2) ფორმატი;

ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაშ\ი არსებულ სამგზავრო ტრანსპორტის მოსაცდელებში;

გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაშ\ი არსებულ გარე განათების ელექტრო ბოძებზე;

დ) საამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე;

3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აიკრძალოს სააგიტაციო მასალებისა და პლაკატების გაკვრა შემდეგ შენობა-ნაგებობებზე:

ა) საკულტო ნაგებობებზე;

ბ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლბზე და შენობა-ნაგებობებზე;

გ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებულ ადმინისტრაციულ შენობებზე (საბავშვო ბაგა-ბაღების, სამედიცინო ამბულატორიის შენობა-ნაგებობები);

დ) სასამართლოების, სამხედრო შენაერთების, იუსტიციის სახლების, პოლიციის, სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობა-ნაგებობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში;

ე) საგზაო ნიშნებზე.

ვ) საავტომობილო გზების გასწვრივ არსებულ მრავალწლიან ნარგავებზე.

4. ამ განკარგულების მეორე მუხლით განსაზღვრული ადგილების (ობიექტების) გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება აგრეთვე გამოიფინოს სხვა შენობა - ნაგებობებსა და ობიექტებზე (გარდა მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

5. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.

6. ამ განკარგულების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დაევალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს, განკარგულების ქსეროსლი გადაუგზავნოს N52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიას და უზრუნველყოს განკარგულების განთავსება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში.

8.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად და საარჩევნო სააგიტაციო მასალების გასაკრავად ადგილების გამოყოფის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 აგვისტოს N 42 43 განკარგულება.

9. განკარგულება ძალაშია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის დღიდან;

10. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 3 დღის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N 11.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო „2019 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის“ დაჯილდოვდა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) საქართველოში 2010 წლიდან ახორციელებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს. IDFI-ის სისტემურმა მონიტორინგმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების გამოვლენაში, საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმების დანერგვაში, საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და ღია მმართველობის განვითარებაში.

30 ივლისს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 2019 წლის ანგარიში წარადგინა და ყველაზე ღია და ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები გამოავლინა. ამათგან ერთ-ერთია ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელმაც მიიღო ჯილდო „2019 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის“.

თვიდან თვემდე

* * *

აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს ბაღდათის მუნიციპალიტეტში პატივი მიაგეს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს. სასულიერო პირებმა კი სოფელ დიმსა და როხში 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ფელიქს კაკაურიძისა და ზვიად კაცაძის საფლავებზე პანაშვიდი გადაიხადეს. 2008 წლის აგვისტოს ომიდან 12 წელი გავიდა. ეს პერიოდი საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი მტკივნეული თარიღია.

* * *

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს ბაღდათის მუნიციპალიტეტიც გამოეხმაურა. ღონისძიებაზე მისულ საზოგადოებას ახალგაზრდული საბჭოს წევრებმა სხვადასხვა აქტივობა შეთავაზეს. დღემ საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით გაიმართა.

ახალგაზრდები წარმოადგენენ მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. ისინი საზოგადოების განვითარებაში ძირითად როლს თამაშობენ. აქედან გამომდინარე, 12 აგვისტოს მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ამ დღეს საფუძველი გაეროს ასამბლეის 1999 წლის 17 დეკემბრის რეზოლუციით ჩაეყარა.

* * *

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ გოგსაძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად პირველკურსელებს შეხვდა. მუნიციპალიტეტის მერმა ახალგაზრდებს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა მიულოცა და ესაუბრა თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი როლი ქვეყნის განვითარების პროცესში. არჩილ გოგსაძემ შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ მუნიციპალიტეტისთვის მათი კვალიფიციური, პროფესიონალი კადრის ამპლუაში დაბრუნება მნიშვნელოვანია. შეხვედრა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

სტუდენტებმა ასევე მოისმინეს ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომელსაც სახელმწიფო სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს, რაც სამომავლოდ მათ დასაქმებას ხელს შეუწყობს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტიდან სტუდენტი 100-ზე მეტი ახალგაზრდა გახდა.

* * *

პროექტ „GAME ზონა“-ს ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ და სამეცნიერო-ინტელექტუალურმა კლუბმა „თაობათა დიალოგი“ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. პროექტი ბაღდათის მუნიციპალიტეტში ხორციელდება და მისი მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-დან 29-წლამდე ახალგაზრდებისათვის ისეთი სივრცის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ პიროვნული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარებას, გააქტიურებას და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას.

აღნიშნულ პროექტს ახორციელებს სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და იგი დაფინანსებულია სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ, მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონებში ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერებას და არაფორმალური განათლების გზით ახალგაზრდებისთვის ძირითადი საკვანძო კომპეტენციების გადაცემას.

* * *

საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ -ს შესაბამისად, 1 სექტემბრიდან ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირება დაიწყო ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ, რომლის ფუნქციაა, დაიცვას მუნიციპალიტეტში მცხოვრები თითოეული ბავშვის უფლებები, იზრუნოს მათი ოჯახების გაძლიერებისათვის და ძალადობის პრევენციის მიზნით გაატაროს საჭირო ღონისძიებები. აღნიშნულ ფუნქციებს განახორციელებს გუნდი, რომელშიც შედის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის დაცვის ინსპექტორი, ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი.

ბავშვის უფლებების დარღვევის გამოვლენის (ან საეარაუდო ეჭვის) შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას ან დარეკეთ ტელეფონზე: 595 25 25 50.

თქვენი ანონიმურობა დაცული იქნება.

* * *

ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა შშმ პირებმა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მორიგი აქტივობა განახორციელეს, ამჯერად პარასპორტში ჩართული პირები ბორჯომში გაემგზავრნენ, სადაც შშმ პირთათვის თბილისის მერიისა და ახალგაზრდული მედიაკავშირის მიერ დაგეგმილ ჯომარდობაში მიიღეს მონაწილეობა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, აზა მაშანეიშვილი,
ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“